რუსეთ-უკრაინის ომი

და

საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივები

ნიკა ჩიტაძე
გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი
საერთაშორისო საკითხების კვლევითი ცენტრის დირექტორი

კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის გლობალური პარტნიორობის (GPPAC) სამხრეთ კავკასიის პროგრამის 2023 წლის პროგრამის ფარგლებში, აგრძელებს პოლიტიკის დოკუმენტების შექმნას და აქვეყნებს როგორც სამშვიდობო საქმიანობაში ჩაბმული ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისათვის, ისე ფართო აუდიტორიისათვის. 2022 წელს უკრაინაში დაწყებული და განვითარებული მოვლენების ფონზე, პოლიტიკის დოკუმენტები, ძირითადად, ეძღვნება ამ თემატიკას რეგიონულ და ეროვნულ კონტექსტში. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ICCN-ის პოზიციას.

2022

თბილისი, საქართველო

შესავალი

რუსეთ-უკრაინის ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი ალბათ გახლავთ ის ფაქტი, რომ რუსეთი კარგავს თავის გეოპოლიტიკურ გავლენას პოსტ-საბჭოთა სივრცეზე, რომელსაც რუსეთი ოფიციალურად უწოდებდა "ახლო საზღვარგარეთს", ანუ საკუთარი გეოპოლიტიკური გავლენის სფეროს. მოცემული მიმართულებით აღსანიშნავია, რომ გარკვეულწილად სუსტდება რუსეთის, როგორ „შუამავლის" და „სამშვიდობოს" როლი სხვადასხვა კონფლიქტის მოგვარების სფეროში. აღნიშნულის მაგალითია, რომ რუსეთი როლი სუსტდება სომხეთ-აზერბაიჯანს შორის შუამავლისა და შესაბამისად მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარების საკითხში. კარგად არის ცნობილი, რომ 2020 წლის ნოემბერში სწორედ რუსეთი მოგვევლინა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის გარშემო არსებული კონფლიქტის მოგვარების მთავარ „გარანტად", როდესაც თითქოს რუსეთმა შეაჩერა საომარი მოქმედებები მთიან ყარაბაღში და განათავსა საკუთარი „სამშვიდობო ძალები" – 1980 სამხედრო პირის შემადგენლობით კონფლიქტის - ძალთა დაშორიშორების ზონაში, თუმცა კარგად არის ცნობილი ის ფაქტი, რომ 2022 წლის აგვისტო-სექტემბერში აზერბაიჯანმა (რუსეთის უკრაინის ომში ჩართვის გათვალისწინებით) სამხედრო შეტევა განახორციელა რუსი „სამშვიდობოების" პასუხისმგებლობის ზონაში და ლაჩინის დერეფნის მიმართულებით სტრატეგიული ტერიტორია დაიკავა. გარდა ამისა, სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერებთან შეხვედრისას, ევროკავშირმა გამოხატა თავისი მზადყოფნა განათავსოს საკუთარი მეთვალყურეები სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე.

ასევე, რუსეთ-უკრაინის ომმა მოახდინა რუსეთის მიერ ოკუპირებული და სეპარატისტული რეგიონების აფხაზეთის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (საქართველო) და დნესტრისპირეთის (მოლდოვა) პრობლემების აქტუალიზაცია. რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო საზოგადოების დღის წესრიგში აუცილებლად დადგება აღნიშნულ ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების საკითხი, თუმცა, მოცემული პროცესის განვითარებამდე, მნიშვნელოვანია, განხილულ იქნეს ის ძირითადი პრობლემები და პერსპექტივები, რომლებიც საქართველოში არსებულ ოკუპირებულ ტერიტორიებს უკავშირდება, რაც მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ შემუშავებულ იქნეს კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის მშვიდობიანი გზით დეოკუპაციის მიმართულებით.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული დღევანდელი ვითარება

როგორც მოსალოდნელი იყო, როგორც აფხაზეთში, ასევე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოსახლეობის დიდმა ნაწილმა რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრა გაამართლა. აღნიშნულის მთავარი მიზეზები გახლავთ შემდეგი: ორივე რეგიონი ინფორმაციას (უფრო სწორედ დეზინფორმაციას), ძირითადად, რუსული მას-მედიის საშუალებებიდან იღებს; ასევე, ოკუპირებული რეგიონების მაცხოვრებელთა აზრით, რუსეთის მიერ სამხედრო ოპერაციის დაწყება მორალურად გამართლებული იყო იმ მოსაზრებებიდან გამომდინარე, რომ „დასავლეთმა რუსეთს სხვა გზა არ დაუტოვა" და „რუსეთი უკრაინაში დონბასისა და ლუგანსკის მშვიდობიან მოსახლეობის იცავდა." ასევე აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული მოსაზრებების დასამკვიდრებლად რუსული პროპაგანდისტული მანქანა მაქსიმალურად იყო ჩართული. გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ 2008 წლის შემდეგ (და მანამდეც - გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან) რუსეთი ორივე რეგიონის

მოსახლეობისათვის „ჩაგრულებისა და სიმართლის, ასევე, ქართველთა მხრიდან დამცველად“ აღიქმება. მითუმეტეს რომ კრემლის პროპაგანდა მუდმივად იმეორებს, რომ „ოსი და აფხაზი ხალხები ქართველთა მხრიდან გენოციდისგან“ სწორედ რუსეთმა გადაარჩინა. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ უკრაინაში წარმოებული ომის თაობაზე განსხვავებული აზრი უფრო მეტად აფხაზეთში ფიქსირდებოდა, რაც საქართველოს ამ ისტორიულ ნაწილში შედარებით განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობით შეიძლება აიხსნას. ომის დაწყების გასამართლებლად პრაგმატული მიზეზებიც არსებობდა. როგორც აფხაზეთის, ასევე ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა აშკარად შეეჩვია იმ ფაქტს, რომ რუსეთის მიერ ბოლო წლების განმავლობაში დაწყებულ ყოველ ახალ ომს მოსკოვის გეოპოლიტიკური პოზიციების გამყარება მოჰყვებოდა ხოლმე (საქართველოს და უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია შესაბამისად, 2008 და 2014 წლებში, საომარი კამპანია სირიაში 2015-2017 წლებში, ან თუნდაც სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის ზონაში რუსეთის „სამშვიდობო ძალების“ განთავსება და ა.შ.). სოხუმისა და ცხინვალის რეგიონების „მოკავშირის“, რეალურად კი „მფარველის“ ყოველ გაძლიერებას კი, ოკუპირებული ტერიტორიების უდიდესი ნაწილი მხოლოდ მიესალმება და საკუთარი უსაფრთხოების კიდევ უფრო გამყარებად აღიქვამს.

თუმცა, არსებობს განსხვავებული შეხედულებებიც, რომელიც დე-ფაქტო ანექსირებული რეგიონების მმართველ ელიტებს უკავშირდება. კერძოდ, აფხაზური მხარე შედარებით უფრო სკეპტიკურად იყო განწყობილი მოსკოვის ქმედებების მიმართ, რამაც გარკვეულ საკითხებში იჩინა თავი. პირველ რიგში ეს უკავშირდებოდა დონეცკისა და ლუჰანსკის რეგიონების „დამოუკიდებელ ქვეყნებად“ აღიარებას. აფხაზეთის (როგორც მმართველი ელიტის, ასევე რიგითი მაცხოვრებლების დონეზე) საზოგადოების ნაწილი ამ ფაქტით შედარებით უკმაყოფილოც იყო, რისი მიზეზიც გახლავთ ის, რომ აფხაზებისათვის ყოფილ საბჭოთა სივრცეზე რუსეთის მიერ აღიარებული, ახალი სეპარატისტული რეგიონების გაჩენა ბოლომდე სასურველი შეიძლება არც იყოს, რადგანაც აღნიშნული მათთვის ნიშნავს ექსკლუზიურობის ერთგვარ დაკარგვას, „კონკურენტების“ გაჩენას და, შესაბამისად, მოსკოვიდან გამოყოფილი თანხების კრემლის მიერ მხარდაჭერილ სხვა რეგიონებზე გადანაწილებას და აქედან გამომდინარე, აფხაზეთისთვის მოსკოვიდან დაფინანსების მოსალოდნელ შემცირებას. რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, აქ დონეცკისა და ლუჰანსკის აღიარებას რაიმე მნიშვნელოვანი რეაქცია არ მოჰყოლია. აღნიშნულის მიზეზი გახლავთ ის, რომ ყოფილი ავტონომიური ოლქის მმართველი ელიტაც და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ნაკლებად აცნობიერებენ თავს დამოუკიდებელ ტერიტორიულ ერთეულად და, აფხაზებისგან განსხვავებით, სუვერენიტეტზე მნიშვნელოვანი პრეტენზია არ გააჩნიათ. რაც შეეხება დაფინანსებას, ცხინვალის რეგიონის „ეკონომიკა“, მნიშვნელოვანწილად, ყოფილ ავტონომიურ ოლქში უკანონოდ დისლოცირებულ რუსეთის სამხედრო ბაზაზეა მიბმული და, შესაბამისად, რეგიონს დაფინანსების განსაკუთრებული შემცირება ბოლო დრომდე არ ემუქრებოდა.

ამავე დროს, რუსეთის შეიარაღებული ძალების წარუმატებლობებმა უკრაინაში ორივე რეგიონში მოვლენათა აღქმა გარკვეულწილად შეცვალა და ე.წ. „ქართული რევანშის“ შიში ისევ გააჩინა. აღნიშნული კი დასტურდება იმ ფაქტით, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დროს როგორც სოხუმისათვის, ასევე ცხინვალისათვის მტრის ხატის ადგილი ისევ თბილისმა დაიკავა. გარდა ამისა, ორივე ოკუპირებულ რეგიონში იზრდება უკმაყოფილება ფრონტზე ეთნიკური აფხაზებისა და ოსების გაწვევის გამო. აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ბევრი მკვიდრი სწორედ ამ ომს შეეწირა, რამაც დაღუპულთა ოჯახებში ოფიციალური კრემლის

მიმართ გარკვეული პროტესტის გრძნობა გააჩინა. ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ცხინვალის რეგიონში ოფიციალური მოსკოვის პოლიტიკის მიმართ არსებული პრეტენზიები დიდი ალბათობით ვითარებას რადიკალურად ვერ შეცვლის იმ ძირითადი მიზეზის გამო, რომ მმართველი ელიტა მკვეთრად მოსკოვზეა ორიენტირებული. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, როდესაც ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დააყენა რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხი. მოცემულ ეტაპზე, აღნიშნული ნაბიჯის გასამართლებლად, სხვა ყველაფერთან ერთად, სწორედ საქართველოს მხრიდან სამხედრო მოქმედებების შესაძლო დაწყება სახელდება. გარდა ამისა, მოცემული თემის თავიდან გააქტიურება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ე.წ. „არჩევნებს“ დაემთხვა და, შესაბამისად, იგი, სხვა ყველაფერთან ერთად, შეიძლება შიდაპოლიტიკური დაპირისპირების შემადგენელ ნაწილადაც აღვიქვათ. თუმცა, დიდი ალბათობით, ამჯერადაც შესაბამისი სიგნალი ცხინვალმა მოსკოვიდან მიიღო. აღნიშნულის ვარაუდს ამყარებს ის ფაქტი, რომ ცხინვალის რეგიონის მმართველი ძალების მიერ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის საკითხის გააქტიურებას დაემთხვა აფხაზეთის საზოგადოების იგივე თემის მიმართ მკვეთრად ნეგატიური პოზიციის დაფიქსირება. ანუ, არ არის გამორიცხული, რომ კრემლმა ორივე რეგიონის ხელმძღვანელებთან ერთდროულად განიხილა რუსეთის ფედერაციასთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციის საკითხი, ან ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ მიერ რუსეთისადმი არსებული თხოვნა „რესპუბლიკის“ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის შესახებ კრემლს საქართველოს დასაშანტაჟებელად სჭირდება. კერძოდ, თუ საქართველო არ გაატარებს რუსეთისათვის მისაღებ საგარეო პოლიტიკურ კურსს, რუსეთის „სამხრეთ ოსეთის“ რუსეთის ფედერაციაში შესვლის საკითხს დღის წესრიგში დააყენებს. კიდევ ერთ ვერსიად შესაძლებელია განვიხილოთ ის ფაქტიც, რომ როდესაც რუსეთს დასჭირდება, კრემლის უკრაინაში წარმოებული წარუმატებელი ომის „კომპენსირების“ მიზნით ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შეყვანა დასჭირდეს. თუმცა, აღნიშნული ვერ შეცვლის ვერც დე-იურე და ვერ დე-ფაქტო ვითარებას, რადგანაც დე-იურე საერთაშორისო საზოგადოება რა თქმა უნდა კვლავ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და შესაბამისად, ცხინვალის რეგიონს საქართველოს შემადგენელ ნაწილად, ხოლო რაც შეეხება დე-ფაქტო ვითარებას, რუსეთს დღეს ცხინვალის რეგიონი ისედაც ჰყავს არა მხოლოდ ოკუპირებული, არამედ დე-ფაქტო ანექსირებული.

ამავე დროს, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების და საზოგადოების მხრიდან გაკეთებულმა განცხადებებმა კიდევ ერთხელ ცხადი გახადა, რომ აფხაზური მხარე, ისევე როგორც აქამდე, დღევანდელ ეტაპზეც ახერხებს რუსეთისგან გარკვეული დისტანცირება შეინარჩუნოს. მოსკოვი აღნიშნულს კარგად აცნობიერებს და ბიჭვინთის სანაპირო ნაწილის მიღების სანაცვლოდ აფხაზების დაშოშმინების მიზნით კრემლმა „საჩუქრად“ აფხაზეთში ა. ლუკაშენკოს ვიზიტს გაუკეთა ორგანიზება. ამავე დროს, სოხუმის მხრიდან ე.წ. „სამხრეთ ოსური“ სცენარის მიუღებლობის შესახებ დაფიქსირებული პოზიცია იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ აფხაზური საზოგადოების ნაწილს რუსეთის უკრაინაში შეჭრისთანავე ჰქონდა გარკვეული შეკითხვები კრემლის ხელმძღვანელობასთან (თუმცა, აღნიშნულის საჯაროდ დაფიქსირებას ვერ ბედავდა).

როგორც აფხაზური, ასევე ოსური მხრიდან არსებულმა შიშნარევმა რეაქციებმა კიდევ ერთხელ ნათელი გახადა ის ფაქტი, რომ ქართული მხარის მიმართ ნდობა ჯერჯერობით კვლავ არ

არსებობს. რუსული პროპაგანდისტული მანქანის მუშაობის შედეგად ორივე რეგიონის მოსახლეობას უჭირს იმის დაჯერება, რომ თბილისი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად პირველივე შესაძლებლობის გაჩენისთანავე ძალის გამოყენებას მოერიდება და რომ საქართველოს მთავარ მიზანს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება წარმოადგენს. გარდა ამისა, გავრცელებული სხვადასხვა არარეალისტური განცხადება დასავლეთის საქართველოს ომში ჩათრევის სურვილის შესახებ განაპირობებს იმ ფაქტს, რომ აფხაზური და ოსური საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი არა მხოლოდ არ ენდობა ქართულ სახელმწიფოს, არამედ საქართველო გარე ძალებზე ზედმეტად დამოკიდებულ სუბიექტად მიაჩნიათ. კრემლის დეზინფორმაციული კამპანია მიმართულია იქითკენ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელთა თვალში საქართველო ამერიკის, ევროკავშირისა და ნატოს მარიონეტად, ხოლო დასავლური დემოკრატიული სამყარო აგრესიულ სუბიექტად წარმოაჩინოს, რომელიც თითქოს ყველანაირად არის მზად რომ შესაძლებლობის შემთხვევაში აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მოქალაქეთა უფლებები მაქსიმალურად შელახოს. მეორეს მხრივ, ეს რეაქციები იმასაც მოწმობს, რომ რუსული მხრიდან სრულფასოვანი დაცვის იმედი სოხუმსა და ცხინვალში აღარ აქვთ. 2008 წლის შემდეგ ორივე რეგიონში რუსული სამხედრო ბაზების განლაგებას და სამხედრო ტექნიკის განთავსებას ოკუპირებული რეგიონების მაცხოვრებელთა შიშები უნდა განეფანტა, მაგრამ უკრაინის ფრონტზე რუსული შეიარაღებული ძალების პირველივე წარუმატებლობებმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საგრძნობი შეშფოთება გამოიწვია. აღნიშნულის მიზეზი კი გახლავთ ის, რომ რუსეთი არც ისე სტაბილურ და ძლიერ პარტნიორად - უფრო სწორედ კი მფარველად წარმოჩინდა, რადგანაც ე.წ. მსოფლიოს მეორე არმია არა მხოლოდ ვერ აღწევს საკუთარ მიზნებს, არამედ ფრონტის ხაზზე აფხაზებისა და ოსების გაწვევაც და პრიგოჟინის მეთაურობით ამბოხებულებისაგან მოსკოვის დაცვაც კი დასჭირდა. არ არის გამორიცხული, რომ მოსკოვის მხრიდან აფხაზი და ოსი ეროვნების წარმომადგენელთა ჯარში გაწვევა უფრო პოლიტიკურ-სიმბოლურ აქტს წარმოადგენდა, მაგრამ სოხუმსა და ცხინვალზე აღნიშნულმა პოზიტიური შთაბეჭდილება ნამდვილად ვერ მოახდინა. ოკუპირებული რეგიონების რიგ ოპოზიციონერ „პოლიტიკოსთა“ მხრიდან კი გაკეთდა განცხადებები „გენოფონდის განადგურების“ საფრთხის შესახებ, რის საფუძველსაც გარკვეულწილად, მოსახლეობის შესაბამისი განწყობები წარმოადგენს. აფხაზური სამოქალაქო საზოგადოების წევრები კი, ღიად გამოვიდნენ მოწოდებებით ომის დასრულებისაკენ. არც ის არის გამორიცხული, რომ განსაკუთრებით აფხაზეთში შიშით ადევნებენ თვალყურს რუსეთის ჯარების სასტიკ ქმედებებს უკრაინის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. აღნიშნულმა არაადამიანურმა ქმედებებმა დიდი ალბათობით თვით აფხაზურ საზოგადოებაშიც გააჩინა იმის შიში, რომ რუსეთი არის იმის მკადრებელი, რომ საჭიროების შემთხვევაში რეპრესიული ზომები აფხაზეთის მოსახლეობის წინააღმდეგაც მიიღოს, მაგალითად იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთში რუსეთისგან უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების (მაგალითად აფხაზური საზოგადოების წინააღმდეგობა ბიჭვინთის სანაპირო ტერიტორიის ნაწილის რუსეთისთვის გადაცემის საკითხზე და ა.შ.) მცდელობა იარსებებს. ანუ, კრემლი შეიძლება იყოს დაუნდობელი ნებისმიერი ერის მიმართ, ვინც მოსკოვის პოლიტიკას არ გაიზიარებს, მითუმეტეს, რომ აფხაზური საზოგადოების ნაწილისათვის კარგად არის ცნობილი იმ გენოციდის შესახებ, რომელიც რუსეთის იმპერიამ ეთნიკური აფხაზების და ჩერქეზების (ასევე სხვა აფხაზურ-ადიღეური წარმოშობის ეროვნებების) წინააღმდეგ მე-19 საუკუნის 50-იან და 70-იან წლებში განახორციელა (კლდიაშვილი, ვაჭარაძე, 2022).

ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებული პრობლემები

ყველა ზემოაღნიშნული რეალობის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს ოკუპირებულ რეგიონებში შემდეგი პრობლემების არსებობის შესახებ:

- ოფიციალური კრემლის საინფორმაციო პროპაგანდის შედეგად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლებების კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე მაცხოვრებელ ხალხებს, ასევე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებს შორის ნდობისა და ხალხთა შორის ურთიერთობების აშკარა დეფიციტი არსებობს. კერძოდ, რუსეთის პოლიტიკიდან გამომდინარე, დღეს პრაქტიკულად არ არსებობს პირდაპირი კონტაქტების დამყარების პერსპექტივები საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სეპარატისტული რეგიონების სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის;

-კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოში ჯერ რუსეთის იმპერია, ხოლო შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება და რუსეთის ფედერაცია ახორციელებდა პოლიტიკას „დაყავი და იბატონე“. აგიტაცია-პროპაგანდის შედეგად (სატელევიზიო გადაცემები, საგაზეთო სტატიები, ინტერნეტ წყაროები, „ისტორიული დოკუმენტების“ გავრცელება და ა.შ.) აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთი) მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ არც აფხაზეთი და არც „სამხრეთ ოსეთი“ ისტორიულად არასოდეს ყოფილა საქართველოს შემადგენელი ნაწილი და მათი საქართველოში ძალით შეყვანა საბჭოთა პერიოდში სტალინისა და ბერიას ინიციატივით და ა.შ. განხორციელდა;

- საქართველოს ახალი თაობა საკმარისად არ იცნობს კონფლიქტების ძირითად მიზეზებს და თუნდაც სეპარატისტული რეგიონების ისტორიას და ა.შ. მაგალითად, საქართველოს რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ისწავლება საგანი: „მოლაპარაკებები და კონფლიქტების მოგვარება“, მაგრამ ნებისმიერი საგანი, რომელიც უშუალოდ უნდა იყოს ორიენტირებული საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებზე, არ შედის საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტთა პროგრამებში (მაგ.: პოლიტიკური მეცნიერებები/საერთაშორისო ურთიერთობები). აქედან გამომდინარე, ყველაზე პრობლემატური გახლავთ ფაქტი, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ერთგვარად შეგუებულია ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ მდგომარეობასთან და საზოგადოების უდიდეს ნაწილს (რუსეთ-უკრაინის ომში რუსეთის წარუმატებლობის მიუხედავად) დღევანდელ ეტაპზეც არ სჯერა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივის. მაგალითად, მსოფლიოში ერთ-ერთი ავტორიტეტული ორგანიზაციის, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, რომელიც საქართველოში ბოლოს 2023 წლის დასაწყისში ჩატარდა, ქვეყნის წინაშე არსებულ მთავარ პრობლემად 36% ეკონომიკას და უმუშევრობას ასახელებს, 19% ცხოვრებისთვის საჭირო ხარჯებსა და მაღალ ფასებს, 6%-6% სიღარიბესა და სხვა ეკონომიკურ პრობლემებს, და მხოლოდ 5% – შიდა კონფლიქტებს (Civil.ge, 2023).

- მიუხედავად იმისა, რომ განხორციელდა სხვადასხვა კვლევა, რომელიც დაკავშირებულია აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტების ძირითად მიზეზებთან და

კონფლიქტების ისტორიასთან, შედარებით ნაკლებია ისეთი კვლევები და სხვა მასალები - რომელიც უნდა მომზადდეს შესაბამისი საჯარო, საგანმანათლებლო, კერძო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რომელიც დაკავშირებულია მომავლის ხედვასთან და კონკრეტული რეკომენდაციების ღრმა ანალიზთან დაკავშირებით, კერძოდ, თუ რა გახლავთ ის ძირითადი შიდა და გარე ფაქტორები, პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, საინფორმაციო და ა.შ. საკითხები, რომელმაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის პროცესის ხელშეწყობაში, კონფლიქტში ჩართული ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინებით;

- შეინიშნება სამოქალაქო საზოგადოებასა და კონფლიქტების მოგვარების საკითხზე პასუხისმგებელ შესაბამის სამთავრობო უწყებებს შორის ურთიერთობის ნაკლებობა. მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში ასეთი თანამშრომლობა შეზღუდულია შეხვედრებით, რომლებიც არც თუ ისე ხშირად იმართება (2-3 თვეში ერთხელ) შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. ეს შეხვედრები შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციის გაცვლით. ამავდროულად, აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების მეტი ჩართულობა სამთავრობო უწყებებისთვის კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე კონკრეტული რეკომენდაციის შემუშავებაში.

რეკომენდაციები

საქართველოს ხელისუფლების როლი კონფლიქტის მოგვარებაში

საქართველოს ხელისუფლების მიერ ალბათ უნდა აწონ-დაწონილი იქნეს, რომ დღევანდელ დღეს, როდესაც რუსეთი ასრულებს დესტრუქციულ როლს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებაში, განხილულ იქნეს ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლების ფარგლებში არა რუსეთი, არამედ სწორედ აფხაზური და ოსური მხარეები იქნებიან მთავარი მომლაპარაკებელი მხარე, როგორც ეს იყო 2008 წლის აგვისტომდე, როდესაც არსებობდა გარკვეული კონტაქტები და მიმდინარეობდა მოლაპარაკებები საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის.

სამოქალაქო საზოგადოების როლი კონფლიქტების მოგვარებაში

საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის დეოკუპაციის მიზნით აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა. კერძოდ, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციისა თუ კვლევითი ინსტიტუტის მიერ უნდა განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებული არსებული ვითარების სიღრმისეული მიმოხილვა და მასზე დაყრდნობით დეტალურად გაანალიზება, თუ რა გახლავთ ის ძირითადი შიდა და გარე, ასევე, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, ჰუმანიტარული, საინფორმაციო და ა.შ. ფაქტორები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ხალხთა შორის ურთიერთნდობის აღდგენას ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე და სეპარატისტულ რეგიონებში. შესაბამისად,

აუცილებელია კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა კვლევის ჩატარება და სემინარების, სამუშაო შეხვედრებისა და კონფერენციების ჩატარება, რომლებიც ძირითადად მხოლოდ მომავალზე უნდა იყოს ორიენტირებული;

- კონფლიქტების საკითხებზე უნდა გამოქვეყნებულ იქნეს წიგნები და სტატიები, რომლებიც უკავშირდება კონფლიქტის ზონაში არსებულ ვითარებას და როგორც აფხაზეთის, ასევე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივებს და აღნიშნული მასალები მაგალითად ელექტრონული და სხვა ფორმით მიეწოდოთ ოკუპირებული რეგიონების მაცხოვრებლებს;

- კონფლიქტების მოგვარების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობის გათვალისწინებით - აუცილებელია კონფლიქტების მოგვარების სამომავლო პერსპექტივასთან დაკავშირებული სასწავლო კურსების ორგანიზება საქართველოს ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში. აღნიშნულმა უნივერსიტეტმა უნდა გაუზიაროს ეს იდეები თავის კოლეგებს სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან აღნიშნული სალექციო კურსების რაც შეიძლება უფრო მეტ უმაღლეს სასწავლებელში ორგანიზების მიზნით;

- აუცილებელია საინფორმაციო პორტალის შექმნა კონფლიქტების დარეგულირების პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, ჰუმანიტარული, საგანმანათლებლო და ა.შ. ასპექტების განსახილველად. შესაბამისი სტატიებისა და კვლევების გამოქვეყნება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ ხელს შეუწყობს გამოცდილების და შეხედულებების გაცვლას და საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას;

- ცენტრალური ხელისუფლებისა და სეპარატისტული რეგიონების კონტროლის ქვეშ მყოფ მოსახლეობას შორის ურთიერთნდობის გაზრდის მიზნით, უმნიშვნელოვანესია სეპარატისტულ რეგიონებში შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან კონტაქტების დამყარება და სამშვიდობო ინიციატივების შესახებ პოზიციების ურთიერთგაზიარება და სტატიების, კვლევების და ა.შ. გამოქვეყნება. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციის მიზანია შესთავაზოს კოლეგებს აფხაზეთიდან, სამხრეთ ოსეთიდან მოამზადონ მოსაზრებები და პოზიციები კონფლიქტის მოგვარებისა და ურთიერთნდობის აღდგენის სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

ზემოთქმულის ფაქტორების გათვალისწინების შედეგად საქართველოს ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ, სხვადასხვა სფეროში, შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების შემუშავება, კერძოდ:

საინფორმაციო კამპანია:

- კიდევ უფრო მეტად უნდა იქნეს გააქტიურებული როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო დონეზე საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს უპირველეს მიზანს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების პრობლემების მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარება წარმოადგენს და ქართული მხარე ყოველთვის მზად არის დიალოგის წარმოებისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სხვადასხვა არხის

მეშვეობით კონტაქტების გაფართოება და გააქტიურება არა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოებებთან, არამედ, შესაძლებლობის შემთხვევაში, დე ფაქტო მმართველ ელიტებთანაც. აღნიშნულის არ არსებობის შემთხვევაში მოსკოვის მხრიდან ზეწოლისა და ანტიქართული განწყობების შექმნის ფონზე პრობლემის მოგვარება კიდევ უფრო გართულდება;

- სხვადასხვა ელექტრონული თუ ბეჭდური მედიის საშუალებით, პირველ რიგში კი, საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით, დიდი ალბათობით რუსულ ენაზე, ასევე არ არის გამორიცხული აფხაზურ და ოსურ ენებზე - საინფორმაციო კამპანიის გაძლიერება, რომლის ფარგლებშიც საქართველო წარმოდგენილი იქნება როგორც დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და მშვიდობის მოსურნე ქვეყანა, რომელსაც სხვადასხვა პროექტის მეშვეობით ძალუძს გახდეს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა და რომელსაც ევროპული პერსპექტივა გააჩნია;

- აუცილებელია მომზადდეს შესაბამისი გადაცემები და სტატიები, ბლოგები, ასევე შეიქმნას „იუთუბ არხი“ და ა.შ. რომლებიც სხვადასხვა საშუალებით გავრცელდება ოკუპირებულ რეგიონში, სადაც წარმოდგენილი იქნება შესაბამისი წყაროები იმის შესახებ, რომ როგორც აფხაზეთი, ასევე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია ყოველთვის შედიოდნენ საქართველოს შემადგენლობაში, რასაც ადასტურებს სხვადასხვა საუკუნეში გამოცემული უამრავი რუკა, ხოლო ქართველები და აფხაზები, ასევე, ქართველები და ოსები ყოველთვის ცხოვრობდნენ ერთმანეთის გვერდი გვერდით და როგორც აფხაზ, ასევე ოს ხალხებს უდიდესი წვლილი მიუძღვნით საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებაში. მაგალითად ეთნიკური აფხაზები და ოსები ყოველთვის მსახურობდნენ ქართულ ჯარში და საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მრავალი მაგალითი არსებობს. მაგალითად, ქართველთა და აფხაზთა ერთობლივი ბრძოლა მურვან ყრუს ლაშქრის წინააღმდეგ, ქართველთა და ალანთა ერთობლივი ლაშქრობა პარტიისა და რომის იმპერიის ტერიტორიებზე ქართლის მეფე ფარსმან ქველის მეთაურობით, 1121 წელს გამართული დიდგორის ბრძოლა და ა.შ. ასევე, ჩვენს თანამოქალაქეებს ოკუპირებულ რეგიონებში უნდა მიეწოდოთ კონკრეტული მაგალითები, რომ როგორც ოსი, ასევე აფხაზი ხალხების უფლებები საქართველოში ყოველთვის დაცული იყო. მაგალითად, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შემავალ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სკოლების 60%-ზე მეტი იყო ოსური (სკოლის მოსწავლეები მეოთხე კლასამდე სწავლობდნენ ოსურად, ხოლო შემდეგ, ლიტერატურასთან დაკავშირებული პრობლემების გამო - რუსულად) (კვანჭილაშვილი, 1989). ამავე დროს, რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ ორჯონიკიძეში (დღევანდელი ვლადიკავკაზი), არ ფუნქციონირებდა არც ერთი ოსური სკოლა, ანუ სწორედ რომ რუსეთში მიმდინარეობდა ოსი ხალხის მიზანმიმართული რუსიფიკაცია. რაც შეეხება აფხაზეთს, მოცემულ შემთხვევაშიც აუცილებელია აღინიშნოს, რომ მაგალითად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1921 წელს მიღებული კონსტიტუციის 107-ე მუხლის მიხედვით, აფხაზეთს გააჩნდა ფართო ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში. ხოლო კომუნისტური მმართველობის პერიოდშიც და საქართველოს მიერ სახელმწიფო დამოუკიდებლობის პირველ, კერძოდ, 1992 წელს, ანუ ომის დაწყებამდე ეთნიკური აფხაზები შეადგენდნენ აფხაზეთის მოსახლეობის 17%- ს, ხოლო ქართველები 44%-ის, თუმცა აფხაზეთის უზენაეს საბჭოში აფხაზებს ჰყავდათ

წარმოდგენილი 28 დეპუტატი, ხოლო ქართველებს - 26 (ჩიტაძე, 2011). გარდა ამისა, ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ არც ერთ ერს, რომლის რაოდენობა არ აღემატებოდა 80 ათასს, არ გააჩნდა საკუთარი უნივერსიტეტი, ტელევიზია, რადიო, გაზეთი, თეატრი და ა.შ. და მოცემულ შემთხვევაში გამონაკლისს მხოლოდ საქართველოს შემადგენლობაში მაცხოვრებელი აფხაზები წარმოადგენდნენ. ასევე აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სწორედ რუსეთის იმპერია გახლდათ ის სახელმწიფო, რომელმაც მე-19 საუკუნის განმავლობაში 100 ათასზე მეტი ეთნიკური აფხაზი აყარა თავისი მშობლიური კერიდან და ოსმალეთის იმპერიაში გადაასახლა, ხოლო 1907 წლამდე ცარისტული რეჟიმის მიერ აფხაზებს „დამნაშავე ერის“ სტატუსი ჰქონდათ მინიჭებული (ლორთქიფანიძე, 1990);

- სხვადასხვა მედია საშუალებით ოკუპირებულ რეგიონებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია, თუ როგორ არის დაცული საქართველოში ეთნიკური უმცირესობების უფლებები და თუ როგორი მრავალეთნიკური და ტოლერანტული ქვეყანაა საქართველო;

- მნიშვნელოვანია თვით საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებთა ცნობადობის ამაღლება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საკითხებზე;

- ქართულ საზოგადოებაში უნდა წარიმართოს მუშაობა იმ მიმართულებით, რათა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები ახლებურად იყოს გააზრებული, კერძოდ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, ხელისუფლებამ უნდა შეძლოს აქტიური და გაბედული სამშვიდობო ნაბიჯების გატარება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებთან მიმართებაში. აღნიშნული საკომუნიკაციო სტრატეგიის ნაწილი უნდა გახდეს მთელი რიგი სტერეოტიპების დანგრევა, როგორიცაა, მაგალითად, ის, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები მხოლოდ საქართველო-რუსეთის დაპირისპირების ნაწილია და იქ ადგილობრივ მოსახლეობას არანაირი როლი არა გააჩნია;

- უნდა მომზადდეს შესაბამისი ვიდეო რგოლები და სხვა სახის მასალები აჭარის შესახებ, კერძოდ, თუ როგორ არის დაცული აჭარის ავტონომიური უფლებები ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში და რა სახის ინფრასტრუქტურული და სხვა ტიპის პროექტები განხორციელდა აჭარის რეგიონში. საოკუპაციო ხაზის გადაღმა ჩვენმა თანამემამულეებმა უნდა დაინახონ ის განსხვავება, რომელიც არსებობს საქართველოს შემადგენლობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოკუპირებული რეგიონების განვითარებას შორის;

- უნდა დავარწმუნოთ, როგორც აფხაზური, ასევე ოსური საზოგადოება, რომ არსებულ ვითარებაში, არც ერთი მხარე არ არის გამარჯვებული. კერძოდ, საქართველო დამარცხებულია, რადგან ვერ აკონტროლებს საკუთარი ტერიტორიის 20%-ს, ხოლო აფხაზეთს და ე.წ. სამხრეთ ოსეთს არანაირი დე-ფაქტო დამოუკიდებლობა არ გააჩნიათ და რუსეთის გავლენის ქვეშ მათი ეროვნული იდენტობა თანდათან იკარგება და ა.შ. და რომ კონფლიქტის მოგვარების მთავარ პრიორიტეტს კონფლიქტში ჩართული თითოეული მხარის გამარჯვება უნდა წარმოადგენდეს.

საქართველო და საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობა

-უნდა გააქტიურებულ იქნეს თანამშრომლობა დასავლელ პარტნიორებთან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობის გააქტიურებისა და გავლენის გაზრდის მიზნით. ჩვენი პარტნიორების წინაშე უნდა წარდგენილ იქნეს ახალი ინიციატივები იმის თაობაზე, რომ ქართული მხარე ახლებურად იაზრებს კონფლიქტების საკითხებს, მათ შორის ანექსიის შეჩერების მიზნით და რომ თანამედროვე ეტაპზე ოფიციალური თბილისის რესურსები გაცილებით უფრო ეფექტურად დაიხარჯება კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით;

- მნიშვნელოვანია დასავლეთის დემოკრატიული სამყაროს წარმომადგენლებთან თანამშრომლობის გააქტიურება, ანექსიის, პირველ რიგში ცხინვალის რეგიონის ანექსიის პრევენციის მიმართულებით. კერძოდ, აუცილებელია საქართველოს პარტნიორ სახელმწიფოებთან ერთად კონკრეტული გეგმის შემუშავება, რომელიც პირველ რიგში რუსეთისათვის ისედაც დაწესებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური სანქციების კიდევ უფრო მეტ გამკაცრებას გაითვალისწინებს. აუცილებელია დასავლელი პარტნიორების დარწმუნება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის დეოკუპაცია თვით დასავლეთისთვის, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც გახლავთ ის ფაქტი, რომ რუსეთზე სანქციების დაწესების შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება საქართველოს სატრანზიტო ფუნქციები (მაგალითად 2022 წელს 2,5-ჯერ გაიზარდა შუა დერეფნის მეშვეობით ტვირთების გადაზიდვა და ა.შ.) და საქართველოში კონფლიქტების დარეგულირება და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბება - შექმნის იმის მნიშვნელოვან წინაპირობას, რომ საქართველომ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სატრანსპორტო დერეფნის როლი (სხვადასხვა ტვირთის თუ ენერგეტიკული რესურსის გატარების საქმეში) უფრო აქტიურად შეასრულოს.

- საქართველომ უნდა დაარწმუნოს დასავლეთი, რომ ვიდრე არ მოხდება საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის დეოკუპაცია, აუცილებელია, არავითარ შემთხვევაში არ მოხდეს უკრაინის ომის ფარგლებში რუსეთისათვის დაწესებული სანქციების შემსუბუქება და/ან საერთოდ გაუქმება იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი გაიყვანს თავის ჯარს (უფრო სწორედ იძულებული იქნება გაიყვანოს) უკრაინიდან და შესაბამისად, რუსეთისათვის სანქციების გაუქმების (გრძელვადიან პერსპექტივაში) საბოლოო წინაპირობა უნდა იყოს ასევე საქართველოს (და მოლდოვას) ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარება, მათ შორის თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ საქართველო გახლდათ ის პირველი ქვეყანა, რომელმაც თავის თავზე იწვნია რუსეთის პირდაპირი აგრესია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ;

- საქართველომ მაქსიმალურად უნდა გააგრძელა საკუთარი ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც რუსეთის ეკონომიკა საერთაშორისო სანქციების გამო სულ უფრო და უფრო ექცევა იზოლაციაში და სუსტდება. შესაბამისად, რუსეთს სულ უფრო და უფრო გაუჭირდება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ფინანსური მხარდაჭერა. აქედან გამომდინარე, სულ უფრო ნაკლებ ადამიანს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ექნება სურვილი გადავიდეს საცხოვრებლად და იპოვოს სამუშაო რუსეთში. შესაბამისად, აფხაზი და ოსი ხალხებისათვის საქართველოს ევროპული პერსპექტივა უნდა გახდეს მეტად მიმზიდველი. მათ შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული უვიზო რეჟიმის გათვალისწინებით, შესაძლებელია რომ ოკუპირებული ტერიტორიების უფრო მეტ მაცხოვრებელს გაუჩნდეს სურვილი მიიღოს საქართველოს, ან

საქართველოს ხელისუფლების მიერ გაცემული ნეიტრალური პასპორტი (ნეიტრალური დოკუმენტი არის ჰუმანიტარული ხასიათის საბუთი, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას სოციალური სერვისების მიღებისა და საზღვარგარეთ თავისუფალი გადაადგილების საშუალებას აძლევს).

- აუცილებელია რუსეთში ან მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ჯანსაღ და პროგრესულ ძალებთან კონტაქტების შენარჩუნება და განვითარება. მოცემულ შემთხვევაში შეგვიძლია განვიხილოთ ის პოლიტოლოგები თუ საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც აცნობიერებენ საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობების ფასს და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე დიალოგის წარმოებისათვის მზადყოფნას გამოხატავენ. ასეთი ტიპის შეხედულებები აქვთ, ასევე, ელექტრონული და ბეჭდური მედიის, სახელოვნებო ელიტისა და ინტელექტუალური წრეების ცნობილ წარმომადგენლებს. ბევრი მათგანის მოღვაწეობას რუსული ცენზურა ზღუდავს, ბევრიც გასულია ქვეყნიდან. ამიტომაც მნიშვნელოვანია, ამ პიროვნებებთან კონტაქტზე გასვლა და სხვადასხვა ფორმით საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში ჩართვა.

შიდა პოლიტიკური საკითხები

- აუცილებელია ქვეყნის შიგნით სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას შორის კონფრონტაციის შემცირება, რადგანაც როგორც ოსი, ასევე აფხაზური საზოგადოების წარმომადგენლები თვალყურს ადევნებენ და ინფორმაციას იღებენ დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით და საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არსებული რადიკალური დაპირისპირება ნამდვილად ვერ იქნება კარგი მაგალითი ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის მაცხოვრებლებისათვის. ბუნებრივია, რომ შესაძლოა ოკუპირებული ტერიტორიების საზოგადოების წარმომადგენლებმა დასვან კითხვა, რომ თუ განცხადებების საფუძველზე საქართველოს მხარე აფხაზი და ოსი ხალხების მშვიდობიანი ინტეგრაციაზე საუბრობს, როგორ შეიძლება კომპრომისის მიღწევა ქართველებსა და აფხაზებს, ასევე ქართველებსა დ ოსებს შორის, თუ თვითონ ქართველებს შორის მუდმივი დაპირისპირება და მტრობა არსებობს, რომელიც არა მხოლოდ პოლიტიკურ ელიტებს, არამედ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მომხრეებსა და სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის მქონე ადამიანს შორის ვლინდება;

- საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და კანონის უზენაესობის განმტკიცება უნდა იყოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლეების გადაწყვეტის ერთ-ერთი მთავარი გარანტი.

ეკონომიკური ასპექტები

რა თქმა უნდა კონფლიქტის დარეგულირების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა უნდა გახდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარება. დღევანდელ პირობებში, როდესაც რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული ეკონომიკური სანქციების მიუხედავად, რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე საქართველოს მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე ორჯერ უფრო მეტად აღემატება, ოსი და აფხაზი ხალხებისათვის მაინც რუსეთი

უფრო იქნება მიმზიდველი სახელმწიფო, მითუმეტეს, რომ რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის დამოკიდებულება რუსეთზე კიდევ უფრო გაიზარდა (დიდი ალბათობით - დროებით), რისი მაგალითიც გახლავთ ის ფაქტი, უკრაინაში ომის გამო აფხაზეთის გავლით 2022 წელს ტვირთების გადატანა გასამმაგდა (Jam News, 2022). თუმცა, მომავალში ეკონომიკურად გაძლიერებულ საქართველოს შეეძლება აფხაზი და ოსი საზოგადოებების უფრო მეტი დაინტერესება გამოიწვიოს. აღნიშნულ შემთხვევაში, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს კვიპროსის მაგალითი, სადაც 2004 წელს, როდესაც კვიპროსის ბერძნული ნაწილის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი დადგა დღის წესრიგში, ქვეყანაში როგორც თურქულ, ასევე ბერძნულ ნაწილში გაიმართა რეფერენდუმი, სადაც კვიპროსის სეპარატისტული ნაწილის მოსახლეობის 65%-მა კვიპროსის გაერთიანებას დაუჭირა მხარი (UN, 2005). ასეთი რამ წარმოუდგენელი იქნებოდა სულ რაღაც 10 წლის უკან. კვიპროსის გაერთიანება ვერ შედგა, რადგანაც ქვეყნის ბერძნული ნაწილი გაერთიანების წინააღმდეგი გამოვიდა. საერთო ჯამში კი, სეპარატისტული რეგიონის მოსახლეობის განწყობა განპირობებული იყო ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებული ტერიტორიის სწრაფი სოციალ-ეკონომიკური განვითარებით იმ დონემდე, რომ კვიპროსი ევროკავშირის ყველა სტანდარტს აკმაყოფილებდა და, საბოლოოდ, ოკუპირებული ტერიტორიის გარეშე (ქვეყნის ტერიტორიის 39%), აღნიშნული ორგანიზაციის წევრიც გახდა;

- ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიებზე აფხაზეთთან და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან ადმინისტრაციული საზღვრების სიახლოვეს უნდა განხილულ იქნეს თავისუფალი ეკონომიკური ზონის გახსნის საკითხი, რაც ეთნიკური აფხაზებისა და ოსების საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლასა და მათ დასაქმებას შეუწყობს ხელს, მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც რუსეთში არსებული სოციალ-ეკონომიკური ვითარება დღითიდღე უარესდება;

- მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის საკითხს, რომელსაც წელიწადში დაახლოებით 40 მილიონამდე ტვირთის გადამუშავების საშუალება ექნება;

- ელექროენერგიის სამართლიანად გადანაწილების მიზნით უნდა გაგრძელდეს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ერთობლივი ექსპლუატაცია ქართული და აფხაზური მხარეების მიერ;

- თავის მხრივ, ცხინვალის რეგიონის სიახლოვეს შესაძლებელია მაგალითად „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ხილის ან მარცვლეულის გადამამუშავებელი საწარმოების გახსნა;

- აუცილებელია ეთნიკური აფხაზებისა და ოსების, ასევე რა თქმა უნდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური ქართველების და სხვა ეროვნების წარმომადგენლების ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოყვანის შემდგომი ხელშეწყობა მათთვის უფასო მკურნალობის უზრუნველყოფისა (პროექტი როგორც ვიცით უკვე მრავალი წელია ხორციელდება) და სხვადასხვა კომპანიაში დასაქმების პერსპექტივის მიზნით;

- კარგი იქნებოდა ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მიმზიდველობის გაზრდა. პირველ რიგში, საჭიროა ინიციატივის სრულფასოვანი რეალიზაციის ხელშემშლელი მიზეზების აღმოფხვრა. მოცემული კუთხით მნიშვნელოვანია, შემცირდეს ბიუროკრატიული ბარიერები და არსებითად გაიზარდოს დაფინანსება მოცულობა ვაჭრობისა და ბიზნესის ხელშესაწყობად.
- საქართველოს ეკონომიკის წარმატებული განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული წყლის რესურსების (26 060 მდინარე, 850 ტბა, 43 წყალსაცავი და წყალსატევი) (დავითაშვილი, ელიზბარაშვილი, 2014) მაქსიმალური ათვისება ახალი ჰიდროელექტროსადგურების (მათ შორის აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან შედარებით ახლოს მდებარე ხუდონჰესის) მშენებლობისა და საერთაშორისო ბაზარზე ელექტროენერგიისა და მტკნარი წყლის (დღევანდელ დღეს მსოფლიო მოსახლეობის ერთ მესამედს არ გააჩნია შესაბამისი ხელმისაწვდომობა მტკნარ წყალთან) ექსპორტის მიზნით.

განათლების საკითხები

უნდა შეიქმნას წინაპირობები როგორც ოსი, ისე აფხაზი ახალგაზრდებისთვის საქართველოს კვოტით დასავლეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღების შესაძლებლობების გასაფართოებლად. გარდა ამისა, საქართველოს უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში მოთხოვნადი სპეციალობების დასაუფლებლად აფხაზი და ოსი ახალგაზრდებისათვის უნდა გაიხსნას რუსულენოვანი სექტორები.

დასკვნა

რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებული სრულმასშტაბიანი ომი გახლავთ ის უდიდესი გეოპოლიტიკური მოვლენა, რომლის შედეგიც აუცილებლად აისახება როგორც მთლიანად შავი ზღვის რეგიონში, ასევე საქართველოში არსებულ ვითარებაზე მისი ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით. ომში უკრაინისა და საერთაშორისო დემოკრატიული ძალების გამარჯვება, თავის მხრივ, შექმნის იმის ხელსაყრელ წინაპირობას, რომ განხორციელდეს საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის დეოკუპაცია მშვიდობიანი გზით, რომლის ფარგლებშიც, როგორც ქართველი, ასევე ოსი და აფხაზი ხალხები ერთნაირად დარჩებიან გამარჯვებულები.

გამოყენებული ლიტერატურა:

კლდიაშვილი, გ. ვაჭარაძე, ა. 2022. აფხაზთა მუჰაჯირობა. ლინკი: http://historyproject.ge/ge/archivememoryresearch/article/470/?cat_id=40
კვანჭილაშვილი, ტარიელ. 1988. ცხინვალი სამი პორტრეტის ფონზე. „ლიტერატურული საქართველო“.
ლორთქიფანიძე, მარიამი. 1990. აფხაზები და აფხაზეთი. გამომცემლობა „განათლება“
ჩიტაძე, 2011. გეოპოლიტიკა. უნივერსალი

Chitadze, N. 2020. SIGNING THE CEASEFIRE AGREEMENT BETWEEN AZERBAIJAN AND ARMENIA AND EXPECTED GEOPOLITICAL CHANGES IN SOUTH CAUCASUS REGION. Black Sea Security. Link of the Journal: https://geostrategy.org.ua/en/black-sea-security/chornomorska-bezpeka-1-39-2021/download-black-sea-security-1-39-2021-in-english

Civil.Ge. 2023. IRI-ის კვლევა: ევროკავშირში გაწევრიანებას საქართველოს მოქალაქეების მტკიცე მხარდაჭერა აქვს. ლინკი: https://civil.ge/ka/archives/538757

Jam News, 2022. უკრაინაში ომის გამო აფხაზეთის გავლით ტვირთების გადატანა გასამმაგდა. რას ფიქრობს თბილისი? ლინკი: https://jam-news.net/ge/ukrainashi-omis-gamo-afkhazetis-gavlit-tvirtebis-gadatana-gasammagda-ras-fiqrobs-tbilisi/

Kinzer, Stephen. 2022. When pipeline politics go boom, Quincy Institute for Responsible Statecraft.

UN, 2005. Basic facts about the United Nations. UN Department of Press and Information.